ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 30 სექტემბერი № 1597

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან.; თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе»**. **ტელეფონი № 372.**

26 ენკენისთვეს უეცრად გარდაიცვალა

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა შვილები განსვენებულისა. პანაშვიდები—ყოველ დღე საღამოს 8 საათზე. გასვენება მიცვალებულისა—კვირას 30 ენკენისთვეს, დილის 9½ საათზე, დიდიდუბის ეკკლესიაში. (მიხეილის პროსპექტი სახლი № 180). (3—3)

სამშაბათს, 2 ოქტომბერს, კნიაჟნა

ანეტა ლეონიძის

გარდაცვალების წლის თავზე, შორაპნის მაზრის კაცხის მონასტერში გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი მშობელნი კნ. ტასო და თავ. ალექსანდრე ლეონიძენი.

წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე (1—1)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის ს აქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. მანთაშევის სახლში. ✿ **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი, მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი და საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (ნ. 0—15)

ინჟინერი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოებს: 1) მადნეულობის გამოკვლევა—ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვ. 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში და 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეებს.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, 4 საათიდან 6 საათამდე. ადრესი: Георгіевская площадь, № 32. (8—2)

ექიმი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

რედაქციისაგან.

გაგახსენებთ ხელის-მომწერთ, ვისაც სრულად არ შემოუტანია დაკვეთილ „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ წლიური ფასი—დროით წარმოადგინონ.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო უმორჩილესად სთხოვს საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ სადღესასწაულო სხდომაზე, რომელიც მოხდება კვირას, 30 სექტემბერს, საღამოს 7½ საათზე, საზოგადოების სადგომში, აღსანიშნავად საზოგადოების 50 წლის არსებობის შესრულებისა. (2—2)

სკოლა და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა

სლეპცოვის ქუჩა, № 13, ოლგას ვიწრო ქუჩის (Ольгинскій переулокъ) მახლობლად.

ამზადებენ ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის. (5—174—4)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის ავათმყოფნი 10—11.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ივანე ივანესძე

ზურაბიშვილი

გადავიდა ახალს სადგომში: Елисаветинская ул. (уголъ Кирочной) № 112. (5—1)

სალიტერატურო „ეთიკის“ გამო*)

—

რა არის სალიტერატურო ეთიკა? წარმოადგენს იგი რაიმე გადაწყვეტილს, სამუდამო და საყოველთაო პრინციპია, თუ წარმავალი, შესაფერი არსებულ პირობებისა და ამისთვის ცვალებადი და მოძრავი, როგორც თვით ცხოვრების პირობები?

ხშირად გვესმის ჟურნალ-გაზეთობაში საყვედური: ამა და ამ კაცმა ლიტერატურული „მართებულობა“ დაარღვია, „ეთიკა“ შეჰლახაო. რა არის ეს ლიტერატურული მართებულობა?

აი, მაგალითად, ყველამ იცის, რომ „ფსევდონიმის“ გამომჟღავნება დიდ დანაშაულობად ითვლება ლიტერატორთა წრეებში. ამ დანაშაულობის ჩადენის გამო ბევრი უსიამოვნება მოხდება ხოლმე მწერალთა შორის. ხოლო ჩავუკვირდეთ, რაზეა აშენებული ეს დანაშაულობა. მე ვწერ წერილს, ჩემ აზრებს და გრძნობებს ვუზიარებ მკითხველებს, წერილს კი სხვის სახელს ვაწერ, ესე იგი, ვემალები მკითხველს. რადა ვშვრები მაგას? სამში ერთია, ან ის აზრები, რომელთაც ვუზიარებ მკითხველს, მე არ მეკუთვნიან, ან მრცხვენიან თვით ჩემის აზრებისა, ან, სხვა-და-სხვა გარემოებათა მიხედვით, მეშინიან ამ აზრებისა. პირველ შემთხვევაში მე ქურდსავით ვიქცევი, მეორე შემთხვევაში უსინდისო კაცსავით, ხოლო მესამე შემთხვევაში ლაჩარ და მხდალ კაცსავით. ამ სამ შემთხვევაში ასე თუ ისე შესაწყნარებელია მესამე მოსაზრება—შიში, ან უკეთა ვსთქვათ, გაფთხილება, რადგან ხშირად, სხვა-და-სხვა საზოგადო პირობების ძალ-დატანებით, მე იძულებული ვარ დავმალო ჩემი ვინაობა.

ასე რომ ავტორის ვინაობის დამალვას არც ერთი გასამართლებელი ჰრინციპი არა აქვს. და თუ ასეა, ამ ნიადაგზე წარმოშობილ „ეთიკასაც“ მაინც და მაინც დიდი ფასი არ უნდა ჰქონდეს. მე ვამჟღავნებ რომელიმე ავტორის ვინაობას. შენ დამნაშავე ხარ, მეუბნებიან. შენ დაარღვიე არსებული სალიტერატურო მოთხოვნილებანიო. დიაღ, დავარღვიე, მხოლოდ ამასთან სხვა რამეც გამოვააშკარავე—არსებულ სალიტერატურო „ეთიკის“ სიყალბე, იმ ეთიკისა, რომელიც მე ხელს მიწყობს სხვისი გონებრივი ნაყოფი ჩემად გავასაღო, დავემალო მკითხველს და პასუხის გებასაც მკითხველის წინაშე. ყალბია ეს „ეთიკა“, ყალბია მისი მოთხოვნილება. და აი ამ სიყალბის დამრღვეველს დამნაშავის სახელს უწოდებენ საზოგადოებაში. ცრუ-მორწმუნეობის გაბატონება თუ გინდათ, სწორედ ეს არის.

ხოლო ვინაობის დაფარვას აქვს სხვა მავნე შედეგიც. ყოველი წერილი უნდა იყოს ცოცხალი, მარტივი, ყოველ წერილიდამ უნდა გამოიყურებოდეს ავტორის სულიერი ვინაობა, მისი ზნეობრივი ძალა, მოქალაქობრივი გამბედაობა. მკითხველს ავტორის ვინაობაზედ ყოველთვის განსაზღვრული შეხედულება უნდა ჰქონდეს. მწერლის და მკითხველის შორის საჭიროა მჭიდრო კავშირის გამტკიცება და ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც მკითხველი იცნობს მწერალს და აქვს ნდობა მისდამი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტორის ნაწერი არააღელვებს, არ ჩააფიქრებს მკითხველს, რადგან მახლობელ კაცის სიტყვას ყოველთვის მეტი გასავალი აქვს, ვიდრე შორიდამ მოვლენილ უსახელო კაცის სიტყვას. ეს წმინდა ფსიხოლოგიური მხარეა წერისა, რომელიც მხედველობაში მისაღებია. არა ნაკლებ საყურადღებოა წერის სალიტერატურო მხარეც.

ისე არაფერი არ უწყობს ხელს მწერლის და მკითხველის დაახლოვებას, როგორც მწერლის წერის კილო, მისი უნარი საიდუმლო გრძნობა-აზრთა გამოსახვისა, მისი სალიტერატურო ენის მიმოხვრა, ერთის სიტყვით, მისი „სტილი“. მწერლის „სტილი“ (წერის კილო და უნარი) მისი ორიგინალობის მაჩვენებელია, საუკეთესო იარაღია ენის გამდიდრება-გაუმჯობესებისათვის. ავტორის „სტილი“ ლიტერატურის მმოძრავი ძალაა. მხოლოდ უსახელო წერილი, სადაც დამალული ავტორი არა გრძნობს თავისს პასუხის მგებლობას საზოგადოების წინაშე, არაფერი ნიადაგია „სტილის“ გასავარჯიშებლად.

ამაზე შევდგეთ ჯერ-ჯერობით სალიტერატურო „ეთიკის“ განხილვაში.

არჩილ ჯორჯაძე.

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რადგანაც სალიტერატურო ეთიკის საკითხი საყურადღებოა და უნდა გამოირკვეს. თუმცა არ ვეთანხმებით ჩვენის თანამშრომლის მოსაზრებათ ანონიმისა და ფსევდონიმის მნიშვნელობის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა მოტივები აიძულებენ ავტორებს ხელ-მოუწერელი ან ფსევდონიმით მოწერილი სტატიები ჰბეჭდონ. ჩვენის აზრით, ხელ-მოუწერელ სტატიების ბეჭდვას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მკითხველთათვის ცხადად ხდება, რომ ამა თუ იმ აზრებისა და იდეების მქადაგებელ-დამცველი ერთი ავტორი არ არის, არამედ მთელი წრე, მთელი რაზმი; ხოლო ფსევდონიმს მკითხველი იმდენად ეჩვევა, რომ მისთვის ის ავტორის ნამდვილ სახელად ხდება.

რედ.

„ცნობის ფურცლის“ დღევანდელ №-თან ერთად ეგზავნება ხელის-მომწერთ სურათებიან დამატების მე-8 ნომერი, რომელშიაც 8 გვერდია.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

28 სექტემბერი

პოლტავა. 27 სექტემბერს, გუბერნატორის ბელგარდისა და საპატიო პირთა დასწრებით, გაიხსნა საოჯახო მრეწველობის მოღვაწეთა კრება და საოჯახო მრეწველობის გამოფენა. კრება 10 დღეს გაგრძელდება.

ბაქო. მესამე დღეა რაც იწვის შიბაევის ნავთის წყარო. დაიწვა ოთხი კოშკი, ერთი შადრევანი და რამდენიმე აუზი ნავთით სავსე. ზარალი 100 ათას მანეთზე მეტია, თუ შიბაევის შადრევანს არ ვიანგარიშებთ.

ტიუმენი. „სიბირსკაია ტარგოვაია გაზეტა“ იტყობინება, რომ მდინარე ობის შესართავში მუშებმა ნახეს გაყინულ მიწაში უზარმაზარ მამონტის ჩონჩხი, რომლის სიგძე 5 საჟენია, სიგანე—სამი; ტყავი კარგად შენახულია; ძვლების ერთი ნაწილი ტობოლსკში მოიტანეს და მუზეუმს შესწირეს. ადგილს, სადაც მამონტი იპოვეს, ნიშნები შემოავლეს.

პუატიე. სასამართლოში ირჩევა საქმე მონიესი, რომელსაც ბრალად ედება საკუთარ დის დამწყვდევაში მონაწილეობის მიღება. მოწმეების ჩვენებით, ბრალდებული სუსტი ხასიათის კაცია და თავის დედის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ბრალდებულის სიტყვით, მას ეგონა, რომ დას კარგად უვლიდნენ. ბრალმდებელი სასტიკ სასჯელს თხოულობს, ვექილი—გამართლებას.

კონსტანტინეპოლი. დაინიშნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს სანჯაკ მუშში სომეხთა აკლება ქურთებისაგან. მაგრამ ამბობენ, რომ კომისია მიდგომით ეპყრობა ქურთებს. მთავრობამ გადაწყვიტა მუშში ბრიგადა გადაიყვანოს. ქალაქ მუშში ქურთებს არავითარი ძალმომრეობა არ ჩაუდენიათ.

კაპშტადტი. მოვიდა ცნობა, რომ გუშინ მეიკსფერმის ახლო ბერგრივერთან ძლიერი ბრძოლა მოხდა.

პეტერბურგი. ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი კუპლევასკი დაინიშნა ამ უნივერსიტეტის რექტორად, ნაცვლად ლაგერნაკისა, რომელიც სამსახურიდან გამოვიდა.

იუსტიციის მინისტრი დაბრუნდა და შეუდგა თავის სამინისტროს მართვას.*)

პეტერბურგი. 28 სექტემბერს შტრიტერის არყის ქარხანაში აფეთქება მოხდა, როდესაც მუშები სასადილოდ იყვნენ წასულნი. აფეთქება ისეთი ძლიერი იყო, რომ ქარხნის უმთავრესი კოშკი მანქანებით და ფლიგელით დასკდა და ლამის დაინგრეს. აფეთქებამ მოჰკლა ოსტატის 7 წლის ქალი. ქარხანა დაზღვეულია „როსსიას“ საზოგადოებაში 400 ათას მანეთად, ზარალი 200 ათასი მან.

კალუგა. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გაიხსნა.

ნოვო-ჩერკასკი. ხანგრძლივის გვალვის შემდეგ საშინელი ქარიშხალია; ანეულის თესვა შეუძლებელია.

კოპენჰაგენი. როგორც ისმის, საბერძნეთის მეფის შვილი გიორგი 10 ოქტომბერს პირდაპირ ათინაში წავა და იქ სამი კვირა დარჩება; შემდეგ კრიტის კუნძულზე დაბრუნდება.

ლონდონი. სამხედრო მინისტრმა შემდეგი მისწერა პარლამენტის წევრს გოვარდ ვინსენს: „ჩვენ სამხრეთ-აფრიკაში 200 ათასი კაცი გვყავს და 450 ზარბაზანი გვაქვს. 100 ათას კაცზე მეტს საომარ ფეხზე ვაყენებთ ამ ჟამად ინგლისში. ამიტომ ჩვენთვის ძნელი არ არის სამყოფი ჯარი ვიყოლიოთ. თუ საჭირო იქნება ახალი ჯარი, ჩვენ მას დიდის სისწრაფით გამოვაწყობთ. ახლა ომის ველზე არის 69 სავსებით მოწყობილი სხვა-და-სხვა რაზმი; ყოველ თვე სამხრეთ აფრიკაში ვაგზავნით 10 ათას ახალ-ახალ ცხენს. მთავრობის დაუდევრობაზე და უყურადღებობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება“.

გიკს-ბიჩმა განაცხადა გუშინ ოლდჰემში, რომ სამხედრო წესების შემოღება კაპის ახალშენში, როგორც სჩანს, იმითაა გამოწვეული, რომ კაპელები ფარულად უზიდავენ ბურებს ყოველგვარ სურსათს ნავთსადგურებიდან.

ტამბოვი. ათას ორას კორესპონდენტისაგან ცნობა მოვიდა, რომ გუბერნიაში ცუდი მოსავალია; ანეული და ბალახი ახლა უფრო ცუდია, ვიდრე 1897 წლის შიმშილობის დროს იყო; კარტოფილის მოსავალიც იმ წლის მოსავალზე ორად უარესია; თივა საშუალო მოსავლის მესამედია. ხალხს დიდი გაჭირვება მოელის.

ხარკოვი. 13 საათის თათბირის შემდეგ სამხედრო სასამართლომ 28 სექტემბერს შემდეგი განაჩენი დაადგინა ავაზაკ ციგნების შესახებ: ეფრემ სიზონენკო, დობრიაკი, პოლიანსკი პირველი, სკოკ ბაზარენკო და სამი ძმა ბელოშენკო ჩამოღრჩობილ უნდა იქმნენ; კორიაჩენკოს $3^1/_2$ წლით პატიმართა რაზმში ყოფნა მიუსაჯეს; ფედორენკო და პოლიანსკი მეორე, რომლებმაც მთავრობას არ ამცნეს ავაზაკთა ბოროტმოქმედება, დასჯილ იქმნენ: პირველი პატიმართა რაზმში გაგზავნით $1^1/_2$ წლის ვადით, მეორე—ციხეში ერთის წლით დაპატიმრებით; იაკობ და ირინე კუჩერენკო სასამართლომ გაამართლა. გასამართლებულნი განაჩენს მწუხარება-გოდებით მიეგებნენ და ამბობდნენ უდანაშაულოთ დავისჯენითო. დამწრე ნათესავებმა ტირილი ასტეხეს. გამართლებული კუჩერენკო მსაჯულთ ფეხში ჩაუვარდნენ, ტირილითა და პირჯვრის წერით მადლობას უცხადებდნენ. ამ სურათმა ყველანი ააღელვა. საზოგადოებამ გამართლებულთა სასარგებლოდ ფული შეაგროვა. გარდა სიკვდილით დასასჯელთა, სასამართლომ ყველას ნება მისცა თავდებობით ციხიდან განთავისუფლებისა.

პარიზი. ლვინობისთვის შუა რიცხვებში ვენაში შეხვდებიან ერთმანეთს საბერძნეთის მეფე და იმპერატორი ფრანც-იოსები. გაზეთ „ტან“-ის აზრით, ამ ვიზიტს დიპლომატიურ წრეებში დიდ მნიშვნელობას მისცემენო, მით უმეტეს, რომ ამას წინად ვენაშივე რუმინიის მეფეც ყოფილა.

მინისტრ დელკასემ ბიუჯეტის კომისიას მოსთხოვა დაენიშნოს ხელმეორედ სუბსიდია რელიგიოზურ დაწესებულებათ აღმოსავლეთში და შორეულ აღმოსავლეთში. მიუხედავად მინისტრის დაბეჯითების თხოვნისა, კომისიამ უარი გამოუცხადა.

კარაკასი. ვენეცუელის პოლიციელთა რაზმს, რომელსაც არ ჰქონდა არავითარი გარეგნობითი ნიშანი პოლიციელობისა, გერმანულ კრეისერის „ვინეტა“-დან ჩამოსულ ორი უნტერ-ოფიცერის დაჭერა უნდოდა. უნტერ-ოფიცრებს, რომელთაც არავითარი დანაშაულობა არ ჩაუდენიათ, იარაღი უხმარიათ. ხანგრძლივის ბრძოლის შემდეგ, მათ დაამარცხეს, დასჭრეს და გერმანიის გემზე გაისტუმრეს ჰრილობის მოსავლელად. გზაზე უნტერ-ოფიცრებს ემუქრებოდა ბრბო, რომელშიაც პოლიციელების მოხელენიც ერივნენ. ამასთან გერმანიის ოფიცრებსაც ბრძოლა დაუწყეს. მათ საშველად გემის კაპიტანმა 30 კაცი გამოგზავნა. აქაურმა მთავრობამ გერმანიის წარმომადგენელთან იჩივლა, ვითომ გერმანელებმა საზღვრის ხელუხლებლობა დაარღვიეს. გემ „ვინეტა“-ს უფროსი უგზავნის თავის მთავრობას საჩივარს და სთხოვს დასაჯოს დამნაშავენი და ზარალიც გადაახდევინოს.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ფრანგი ბერების შემოსევამ ძლიერ დააფიქრა ინგლისის მმართველობა. გაზ. «ტაიმს»-ს სწერენ:

«კუნძულ ჯერსეის კანონმდებელმა საბჭომ კანონი გამოსცა და ყველა უცხოელ ბერების კრებულებს, თუ 6 კაცზე მეტი წევრი ჰყავთ, კუნძულზე დასახლება აუკრძალა. ვინც ამ კანონს დაარღვევს, დაუყონებლივ კუნძულიდან განიდევნება. ეს კანონი არ შეეხება იმათ, ვინც 1 სექტემბრამდე დასახლდა კუნძულზე

როცა ამ კანონს იხილავდნენ, სახელმწიფო პროკურორმა სთქვა: ამისთანა კანონი უსათუოდ საჭიროაო, იმიტომ რომ უცხოელი ბერების უმეტესობა მტრულად უცქერის ინგლისს და პოლიტიკურის მხრივაც საშიში არიანო. რაც ჯერსეიზე საუკეთესო მამულები იყო, სულ უცხოელმა ბერებმა იყიდესო. კრებულები ჩვენთან იმიტომ მოდიან, რომ თავიანთ საკუთარ სამშობლოს კანონებს არ დაემორჩილებნენ და განა შეიძლება ამისთანა ხალხს კარები გავუღოთ და ჩვენთან მივიღოთო?.

ამბობენ ჯერსეის მაგალითს კუნძულ უაიტიც მიჰბაძავსო.

✿ 21 ოქტომბერს უნიონისტებმა კრება მოახდინეს შეფილდში. კრებაზე ლორდ-კანცლერმა ჰალსბერიმ ილაპარაკა. ლორდ-კანცლერმა მკაცრად გაჰკიცხა ლიბერალური გაზეთები: რასაც კი ცუდ ამბავს გაიგებენ, ყველაფერს აქვეყნებენო. ამით მარტო ინგლისის მტრებს ახარებენო. ორატორმა სთქვა:

«აბა რა საჭირო იყო იმის გამოქვეყნება, ვითომ ლორდ-კიჩენერსა და მთავრობას უთანხმოება მოსდითო, ეს სულ—ცოცხალი ტყუილია. მთავარ-სარდალი და მთავრობა ყველაფერში თანხმობით იქცევიან და ერთმანერთს სრულის ნდობით უცქერიან. რას იტყვიან, რას იფიქრებენ ბურები, როცა ამისთანა ამბებს გაიგებენ? უფრო წაქეზდებიან და უფრო მედგრად განაგრძობენ ბრძოლას.»

დასასრულ ორატორმა დიდის ქებით მოიხსენია ასკვიტი. ასკვიტმა სთქვა: სამხრეთ-აფრიკის ომი სამართლიანი ომია და ინგლისს ამ საქმეში უსინიდისობა არა ჩაუდენია რაო.

შეერთებული-შტატები. «ფრანკფურტერ ცაიტუნგ»-ს სწერენ: კუნძულ კუბაზე ყველგან დემონსტრაციებს ახდენენ და თხოულობენ, შეერთებულ-შტატებს სავაჭრო პირობებით შეგვკრათო. ხალხი ნამეტნავად იმას თხოულობს, რაც შტატებში შაქარი და თამბაქო გააქვთ, ბაჟისაგან გაათავისუფლეთო. საზოგადოდ კუბელები თან და თან იმ აზრს გამოსთქვამენ, სჯობია, სულაც შევუერთდეთ შტატებსაო.

✿ თუმცა ამერიკელებს ჯერ კარგად არ მოუკიდნიათ ფეხი ფილიპის კუნძულებზე, მით მაინც მხნედ ამყარებენ რიგიან წესსა და რიგსა. წარსულ სამშაბათს სამოქალაქო წესები შემოიღეს. მანილაში საქალაქო საბჭო დაწესდა. ამერიკიდან 540 მასწავლებელი ქალი და კაცი მოვიდნენ და კუნძულების სხვა-და-სხვა ადგილებს დაბინავდნენ. ამ მასწავლებლების საქმე უმთავრესად ის იქნება, რომ ფილიპელებს ინგლისური ენა ასწავლონ, ეს მეტად ძნელი საქმეა. უნდა შევნიშნოთ, რომ ესპანიელებმა სამი საუკუნის განმავლობაში ძლივს ძლივობით 300,000 ფილიპელს ასწავლეს ესპანიური ენა; ფილიპის კუნძულებზე კი თითქმის 8 მილ. სული სცხოვრობს.

✿ შეერთებულ შტატებში მარშან საყოველთაო აღწერა მოახდინეს. ამ აღწერამ აღმოაჩინა, რომ თეთრი მოდგმის ხალხი უფრო ძლიერ მრავლდება, ვიდრე შავ-კანიანნი. ამერიკელებს, ცოტა არ იყოს, გული დაუმშვიდდათ, თორემ აქამდე ყველა დარწმუნებული იყო, ზანგები თეთრ ხალხზე ძლიერ მრავლდებიან და ბოლოს ამერიკა სულ იმათ დარჩებათო.

✿ ამერიკის მთავრობის ანგარიშით, 1900 წლის 1 ივლისიდან 1901 წლის 30 ივლისამდე—შეერთებულ შტატებში 936,490 სული გადასახლებულა. კაცების რიცხვი ერთი-ორად მეტი ყოფილა ქალების რიცხვზე. გადასახლებულები სხვა-და-სხვა სახელმწიფოდან არიან; ყველაზე მეტი იტალიიდან, ავსტრო-უნგრეთიდან და რუსეთიდან (პოლონელები და ურიები) გადასახლებულან. ამ სახელმწიფოებს რიგზე მოსდევენ: ინგლისი, ირლანდია, შვეცია, გერმანია, ნორვეგია, რუმინია და სხვ.

✿ აიობის შტატში პეტიცია (თხოვნა) დაუწერიათ. პეტიციის დამწერნი სთხოვენ მთავრობას: პრეზიდენტის მკვლელის, ჩოლგოსის, გვამს ამერიკაში ნუ დავასაფლავებთო. საზიზღარი მკვლელის გვამი ჩვენ მიწას, სასაფლაოებს წაბილწავსო; პირდაპირ ზღვაში გადააგდეთ სადმეო. ეს თხოვნა ცხადად გვიმტკიცებს, რომ ამერიკის საზოგადოება ჯერ კიდევ აღელვებული ყოფილა, ჯერ არ დამშვიდებულა. მით მაინც ანარქისტებიც თავისას არ იშლიან. ამ მოკლე ხანში ქალბატონი ემმა გოლდმანი ანარქიზმის ფილოსოფიის შესახებ ლექციებს წაიკითხავს.

შვეცია. «კელნ. ცაიტ.»-ის სტოკჰოლმელი კორესპონდენტი სწერს: «შვეციელმა სოციალ-დემოკრატებმა ამ დღეებში ეპისტოლე გაუგზავნეს შვეციის ყველა პოლიტიკურ დასსა და გამოუცხადეს, თუ საყოველთაო საარჩევნო უფლებას არ მოგვცემენ, უსათუოდ საყოველთაო გაფიცვას მოვახდენთო. ეპისტოლეში ნათქვამია: დანიისა და ნორვეგიის მუშებმა ფულით დახმარება აღგვითქვესო; ამას გარდა ამ ზაფხულს მალმოში სოციალისტების კრებამ დაადგინა: ყოველმა მუშამ ერთი დღის სამუშაო ქირა უნდა შესწიროს საყოველთაო გაფიცვისთვისაო. მუშების ყოველმა საზოგადოებამ არა უგვიანეს 1901 წლის 1 თებერვლისა უნდა შეგვატყობინოს, სწადიან საყოველთაო გაფიცვის მოხდენა თუ არა.

ვნახოთ გასჭრის ეს მუქარა, თუ ვერაო.

სამხრეთ-აფრიკა. ჩვენ მოგახსენეთ გუშინ-წინ, ვითომ ტრანსვაალის ვიცე-პრეზიდენტს შალკ-ბურგერს ლორდ კიჩენერისათვის ზავი ეთხოვოს. მოგახსენეთ აგრეთვე მთავარ-სარდლის რიხიანი პასუხიც. ბელგიური გაზ. «პტი ბლეო»-ს სარწმუნო კაცებისათვის უკითხავს და დარწმუნებულა, რომ შალკ-ბურგერს კიჩენერისათვის ზავი არას დროს არ უთხოვნიაო. პრეზიდენტმა მარტო პროკლამაციის პასუხი მისწერა კიჩენერს და, სხვათა შორის, შეატყობინა, თუ სრულ დამოუკიდებლობას მოგვცემთ და აჯანყებულ კაპელებს აპატიებთ, ჩვენც თანხმანი გავხდებით, ზავი ჩამოვაგდოთ ინგლისთანაო.

ოსმალეთი. «მორნინგ ლიდერ»-ს ამბავი მოსვლია, მაკედონიის ახალმა კომიტეტმა ამნაირი პროგრამა შეადგინაო:

«1) ოსმალეთის პროვინციებმა სალონიკმა, მონასტირმა, უსკიუბმა და ადრიანოპოლმა ერთად ფედერაციული რესპუბლიკა უნდა დაარსონ. 2) ეს რესპუბლიკა მთლად დამოუკიდებელი იქნება ოსმალეთისაგან; 3) მაკედონიის რესპუბლიკას ხალხისაგან არჩეული საბჭო განაგებს. 4) რესპუბლიკის ყოველ ოლქს ადგილობრივ საქმეებში სრული თვით-მმართველობა ექნება. 5) რესპუბლიკას ჯარი არ ეყოლება, მარტო მილიციას მოაგროვებს. 6) რესპუბლიკაში იქნება დაწესებული საყოველთაო საარჩევნო უფლება, საყოველთაო საერო კენჭის ყრა (რეფერენდუმი), პროპორციონალური წარმომადგენლობა, შემოსავლის და გვარად პროგრესიული გადასახადი, კრებისა და ბეჭდვის თავისუფლება და ყველა მოქალაქეების თანასწორობა. 7) სამოქალაქო მოხელეებს ხალხი აარჩევს. 8) რესპუბლიკის პრეზიდენტს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ხალხი პირ-და-პირის კენჭის ყრით აარჩევს.

ავსტრ-უნგრეთი. უნგრეთის სეიმის წევრთა არჩევანი დასრულდა. ჯერ-ჯერობით სჩანს, რომ მთავრობის მომხრე 249 კაცი (ლიბერალები) აურჩევიათ, კოშუტის დასის (დამოუკიდებლობის დასი)—70. არჩევნის დროს ბევრგან უწესოება მომხდარა, 11 კაცი მოუკლავთ. არეულობა მომეტებულად იმ ოლქებში მოხდა, სადაც კლერიკალური დასის აგიტატორები მოქმედებდნენ და ხალხს აღელვებდნენ. ლიბერალური დასის მამა-მთავარი კოლომან ტისსა გააშავეს. ტისას გაშავება—დიდად საზარალოა ლიბერალებისათვის: გამოცდილებასა და მოხერხებაში ტისას ტოლი არა ჰყავდა, იმოდნობას ვერავინ გასწევს. გამოჩენილი ლიბერალი მოდავნე გრაფი აპონიიც ძლივს გაათეთრეს ლიბერალებმა.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 29 სექტემბერს, კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა საუზმე გაუმართა თავად-აზნაურთა და ქალაქის წარმომადგენელთ.

ამით დასრულდა საიუბილეო დღესასწაული.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე ბ. ფრეზე და ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ. ლინდენი გაჰყვნენ ბათუმამდე მის უდიდებულესობას საბერძნეთის დედოფალს.

◆ თავად-აზნაურობა დღეს უმართავს სადილს რუსეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლებს, რომელნიც საიუბილეო დღესასწაულს დაესწრნენ.

◆ თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმა, რომელნიც საიუბილეო დღესასწაულისათვის იყვნენ ჩამოსულნი, გადასწყვიტეს ერთად გადაიღონ სურათი ერმაკოვის ფოტოგრაფიაში.

◆ 28 სექტემბერს ტფილისიდგან ბორჯომში წავიდნენ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ადიუტანტი გრაფი ა. ნ. გრაბბე და გენერალ ლეიტენანტი ტოლსტოი.

◆ დღეს, 30 სექტემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ მოხდება საიუბილეო სადღესასწა-

---

*) ყველა ზემო მოყვანილი დეპეშა ტელეგრაფმა დააგვიანა.

ეროვნული

ული კრება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრებისა სხვა და სხვა საგნების განსახილველად. ამ კრებაზედ დასასწრებლად მიწვეულნი არიან 200 კაცი. კრება საზოგადოების დარბაზში მოხდება.

✦ დღეს, 30 სექტემბერს, დიდუბეში დაკრძალვენ ახლად გარდაცვალებულის ყველასგან ცნობილ და პატივცემულის გიორგი დავითის ძის ქართველიშვილის გვამს. გასვენებულს თავის სახლიდან, მიხეილის პროსპექტზე, დიდუბისაკენ გამოასვენებენ დილის 9 საათზედ და მიასვენებენ დიდუბის ეკლესიაში, სადაც გარდახდილ აქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

✦ ხვალ, 1 ოქტომბერს ტფილისის საბჭოს სხდომა არ შესდგება მცხეთობის გამო. სხდომა გადაიდო შემდეგ ორშაბათის 8 ოქტომბრისათვის. ამ სხდომაზე, სხვათა შორის, საბჭოს მსჯელობა ექმნება გამგეობის მეოთხე წევრის საჭიროებაზე. თუ საბჭო თანხმა გაუხდა გამგეობას, მეოთხე წევრის არჩევანი ამ სხდომაზედვე მოხდება.

✦ დღეს, 30 სექტემბერს, და ხვალ, 1 ოქტომბერს, მცხეთის სვეტი ცხოვლის ეკლესიის დღესასწაულ დღეს, ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობის განკარგულებით, დამატებით იმუშავებს 10 სახალხო მატარებელი.

✦ ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა პოლიცმეისტერს სომხურ დრამატიულ საზოგადოების წესდების პროექტი იმ ცვლილებებით, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოახდინა ამ პროექტში. ბ. გუბერნატორს სურს გაიგოს, თანახმანი იქნებიან, თუ არა, ამ საქმის ინიციატორები მოხდენილ ცვლილებებისა.

✦ ფინანსთა სამინისტრომ უკვე შეიმუშავა პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აგონ პასუხი მწარმოებლებმა, როდესაც მათ ქარხნებში და ფაბრიკებში მუშას უბედურება რამ შეემთხვევა; ეს პროექტი სახელმწიფო საბჭომ წელს შემოდგომაზევე უნდა განიხილოს და დაამტკიცოს.

✦ კავკასიის საოჯახო მრეწველობის კომიტეტს გადაუწყვეტია გამოსცეს კავკასიის საოჯახო მრეწველობის გამოკვლევა, რისთვისაც უკვე შემუშავებულია საჭირო პროგრამა. გამოკვლევას უფრო სტატისტიკური ხასიათი ექნება. გარდა ამისა კომიტეტს განზრახვა აქვს დააარსოს საოჯახო მრეწველობის ნაწარმოებთა მუზეუმი, რისთვისაც უკვე შეძენილია რამდენიმე ნიმუში ამ მრეწველობისა.

✦ ტფილისის ვაჭრებმა გადასწყვიტეს გახსნან ნება-დართული სავაჭრო სკოლა ამ ოქტომბერში. ეხლა ეძებენ სადგომს ამ სკოლისათვის. განზრახვა აქვთ დაიქირავონ ზავრიევის სახლი კომერციულ სასწავლებლის ახლო.

✦ ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს საჭირო მსვლელობის მისაცემად განსვენებულ ამიროვის ორის სტიპენდიის დაარსების პროექტი მოსკოვის უნივერსიტეტში.

✦ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთის საბიბლიოგრაფიო საზოგადოებამ მოსკოვში განიზრახა გამართოს საიუბილეო დღესასწაული რუსეთის პირველ პერიოდულ გამოცემიდგან 200 წლის შესრულების სახსოვრად. აღნიშნულ საზოგადოებამ განიზრახა შეადგინოს დღესასწაულის პროგრამა და ამიტომ ხელმეორედ მიმართა რუსულ პერიოდულ გამოცემათა რედაქციებს მიიღონ მონაწილეობა სადღესასწაულო პროგრამის შედგენაში.

დღესასწაულს გარდიხდიან იანვარში, 1903 წელს, დაახლოვებით შემდეგის პროგრამით: 1) სადღესასწაულო სხდომა 2) შედგენილი იქმნება 200 წლის განმავლობაში გამოსულ პერიოდულ გამოცემათა სია, 3) გაიმართება გამოფენა პერიოდულ გამოცემებისა, 4) გამოცემა საიუბილეო დღესასწაულის ბიულეტენისა, 5) დაარსება თავშესაფარის იმ მწერალ მოღვაწეთათვის, რომელთაც შრომის უნარი აღარ ექმნებათ და მე-6) მოწვეულ იქმნებიან რუსეთის პერიოდულ გამოცემათა ხელმძღვანელნი საზოგადო კრებაზედ სხვა და სხვა საკითხების განსახილველად. საბიბლიოგრაფიო საზოგადოების ბიურო ამასთანავე სთხოვს ყველა გამოცემათა რედაქციებს, მიაწოდონ დროზედ ცნობები თვის გამოცემათა შესახებ, სურათები ეხლანდელ და ყოფილ რედაქტორ-გამომცემლებისა ორ-ორი ცალი, საიუბილეო ანუ სხვა საგანგებო ნომრები გამოცემათა და სხვანი.

✦ ხვალ ქალაქის გამგეობამ ტარაფში უნდა გაუშვას ათას და ას მანეთიანი ქაღალდები პირველ საოპლიგაციო სესხისა, სულ 44,000 მანეთის ღირებულებისა.

✦ ტფილისის მაზრის სამხრეთ ნაწილში ვაზის ავათმყოფობისა და წვიმების გამო, მცხოვრებთ ყურძენი არ მოსვლიათ. თავდაპირველად მოსავალს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ შემდეგ ვაზს სოკო გაუჩნდა და, რაც წამლობას შეუდგნენ, წვიმამ სულ ერთიან ჩამორეცხა.

✦ 16 სექტემბრიდან 23-მდე ტფილისში ცხრა კაცი გამხდარა ავად სხვა და სხვა გადამდებ სენით; სახელდობრ: ქუნთრუშით-6, დიფტერიტით-2 და ხუნაგით-1.

✦ ამ დღეებში უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ ექიმს არ შეუძლია მძიმე ავადმყოფის სანახავად არ წავიდეს და თავი იმართლოს იმით, რომ საავადმყოფოში მორიგად არის.

✦ ჯელალ-ოღლიდან გვატყობინებენ, რომ იქ ბავშვებ შორის გავრცელებულია დიფტერიტი და ქუნთრუშა. საჭიროა ექიმი. ეს რამდენიმე წელიწადია, სოფლელებმა დანიშნეს საკუთარ ექიმის ჯამაგირად 1200 მან., მაგრამ აქამდე ექიმი ვერ უპოვიათ.

✦ თელავის საპატიმროს დირექტორად დაამტკიცეს მომრიგებელი მოსამართლე ლეგინზევიჩი.

✦ ამ დღეებში მუღანლოს 12 თათარი თავს დაეცა ს.ოფ ხაშმის ერთ ბაღს. ატყდა სროლა ამ თათრებსა და ბაღის დარაჯებს შორის. სროლის დროს მოჰკლეს ერთი დარაჯი. დამნაშავენი დაიპატიმრეს.

✦ ყარსის რკინის გზაზე მატარებელთა მიმოსვლის ახალი წესი შემოღებულ იქმნა 28 სექტემბრის შუაღამიდან.

✦ ჭაგანიდან (ქუთაისის მაზ.) გვწერენ: „სექტემბრის პირველ რიცხვებში აქაურს სამს გლეხს, გვარად შენგელიებს, მოჰპარეს ცალ-ცალი ხარი; ამავე ღამეს ცხენი მოჰპარეს ქაჯაიასაც. ქაჯაიამ თავისი ცხენი, საიდანაც იყო, გამონახა და შინ ყავს. მეპატრონენი სთხოვენ ქაჯაიას, გვითხარი ვისთან იპოვე ცხენი, ჩვენი ხარებიც მას ეყოლებაო, რადგან ცხენი და ხარები ერთ ღამეს დაიკარგა, მაგრამ ქაჯაია არ აცხადებს, ცხენი სად იპოვა ან ვინ მოუყვანა. 23 სექტემბერს კიდევ იქვე მეზობლობაში მოჰპარეს აქაურს იასაულს შენგელიას ცხენი. საჭიროა ჩვენი „ხევის თავები“ მეტ საქმიანობას გამოიჩენდნენ. მარტო ის არ კმარა, რომ „ხევის თავის“ სახელი ატარონ.

8 სექტემბერს ამ ვე სოფელში სამწუხარო ამბავი მოხდა; 12 წლის ბავშვს უეცრივ გაუვარდა გატენილი თოფი და სამი წლის ბავშვს იქვე სული გააფრთხობინა.

✦ პოლიციის მერვე ნაწილში 27 სექტემბერს „პარიზი“-ს ნომრებში რაღაც მიზეზისა გამო ჩხუბი მოუვიდათ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს დარისპან კვანტალიანს და ერევნისას—ალაკპერ ხაჯი-ოღლის; ხაჯი-ოღლის ბებუთით ყელი გამოუღადრავს კვანტალიანისათვის; მძიმედ დაჭრილი კვანტალიანი წაიყვანეს მიხეილის სამკურნალოში. მაგრამ გზაზედ გარდაიცვალა. ხაჯი-ოღლი სადღაც გაქცეულა, მხოლოდ პოლიციას სასტუმროს სახურავში დამალული ხაჯი-ოღლისთან მოქეიფე ამხანაგი კარაპეტ ოჰანეზოვი უნახავს და დაუპატიმრებია.

✦ სამშაბათს, 2 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი განიხილავს საქმეს გიორგი გიორგაძისა და მიხეილ ბაკურაძისას, რომელთაც ყაჩაღობის ჩადენა ედება ბრალად.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატაში 4 ოქტომბერს განსახილველად დანიშნულია სხვათა შორის შემდეგი საქმეები: თომა კემულარიასი, რომელსაც სასჯელათ დებულების მე-1483 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდება; შიმონ შამელაშვილისა, პლატონ ჩიქოვანისა და მელიტონ გაბუნიასა, რომელთაც ქურდობის ჩადენა ბრალდებათ.

✦ პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, სამხედრო წრეებში ხმა დადის, რომ მალე მოსპობილ იქნება პოლკოვნიკის ჩინი.

✦ მოგვივიდა ახლად დაბეჭდილი ბროშიურა „საუცხოვო ნიმუშები ლიტერატურული უზნეობისა“, თხზ. გ. გოგოლაძისა.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილში ნალბანდოვის სამოსახლოზე პოლიციას აუყვანია ვიღაც ავადმყოფი კაცი, რომელიც მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ; უცნობი გზაშივე გარდაიცვალა. უცნობის ვინაობის გამოსარკვევად ზომებია მიღებული.

კავკასიის გამოფენა

VI

მევენახეობისა და მეღვინეობის განყოფილება.

ეს განყოფილება იმდენად სავსე არ არის, რომ სრულიად დაგვისურათოს ჩვენი ქვეყნის მევენახეობისა და მეღვინეობის მდგომარეობა, მაშინ როდესაც ამ წარმოებას ჩვენში ერთი უფართოესი ადგილი უჭირავს. რომელი კუთხე გინდათ აიღოთ ბარში, ვენახი არ იყოს გაშენებული და ღვინო არ მოჰყავდეთ—ბევრად, თუ ცოტად. ჩვენს გამოფენაზე კი სულ 162 ექსპონენტი გამოცხადებულა; ამათ რიცხვში ყველაზე უფრო მეტი სომხებია—59, შემდეგ ქართველები—43, რუსები—29 და სხვა თემისა—31.

ქართველთაგან ყველაზე უფრო მეტი წარმომადგენელია იმერეთიდან—24, კახეთიდან—12 და ქართლიდან—7 კაცი, სულ—43. ახლა 162 წარმომადგენელთაგან თუ ისეთები გამოვრიცხეთ, რომელიც მხოლოდ სხვისაგან ნაყიდ ღვინით ვაჭრობს და თავის სარდაფიდან ან დუქნიდან ბოთლები აუღიათ და გამოფენაზე წამოუსკუპიათ—მაშინ ხომ კიდევ უფრო ნაკლები დაგვრჩება ნამდვილი მწარმოებელი ღვინისა, რადგან ერთი მესამედი მაინც გამოვა ღვინის მხოლოდ ვაჭარი და არა მწარმოებელი.

ეს კიდევ არაფერი, რომ ცოტანი არიან ამ გამოფენაზე ჩვენი ღვინის მწარმოებელნი. ნეტავი ვინც არიან იმათ მაინც გაეთვალისწინებინათ მნახველისათვის წარმოების მდგომარეობა.. აბა, რა უნდა გაიგოს მნახველმა მარტო იმისაგან, რომ მიადგეს თაროზედ წამოსკუპულს ბოთლსა, ან ვიტრინაში ლამაზად ჩამომწკრივებულს ბოთლებს? სულ სხვა იქნებოდა ამ ბოთლებს თან რომ სდევდეს საჭირო ცნობები ღვინის მეურნეობისა. ვინ არის წარმომადგენელი, როგორ არის იმის ვენახი გაშენებული, რამდენი წლის ზვარია და რა საშუალებებითა და რამდენი მოსვლია იმის ღვინო, რომელიც საქვეყნოდ გამოუფენია და სხვ.—ყველა ამ გვარი ცნობა მნახველს მუდამ დააფიქრებს და გულის ყურს გაუხსნის: გამოფენის საგანიც ხომ ეს უნდა იყოს. მარტო ბოთლებმა, თუნდაც ძვირფასის ღვინოებით ავსებულმა, როგორ უნდა გამოიწვიოს გულის-ყური!.. ეს დიდ ნაკლად მიგვაჩნია განსაკუთრებით ამ განყოფილებისათვის.

თვით ექსპონატების გარჩევას როგორ შევუდგეთ? როგორ ავუწუსხოთ მკითხველს, თუ ზემო-აღნიშნული ნაკლულევანება ხელს გვიშლის. მაგრამ არც ისე ხელ-ცარიელი დავუხვდებით მკითხველს—აქაც არის ისეთი ექსპონატები, რომლის აღნიშვნა შესაძლებელიცაა და საყურადღებოც. უფრო მეტი სავსეობა ისევ დაწესებულებამ წარმოგვიდგინა—ეს არის საუფლისწულო მამულების გამგეობა კავკასიაში. სამთო განყოფილებიდან რომ შეხვალთ მევენახეობისა და მეღვინეობის განყოფილებაში, ჯერ შესავალშივე მარცხენა კედელს მიაქციეთ ყურადღება: საუფლის-წულო მამულების გამგეს, გ. ი. გოგოლ-იანოვსკის, საგულისხმიერო კოლექცია გამოუფენია აქ: სეტყვისაგან დაზიანებული და გაზაფხულის სუსხისაგან აბერილი ვაზის რქები; ვაზის მტერი მწერები, მატლები და სხვა ცხოველები; ვაზის ავადმყოფობა—ჩვენში დაბინავებული ფილოქსერა და მილდიუ და ახლად შემოხეტიალებული ბლეკროტი; აქვეა მიწის ზედა პირის ნიმუშები. ყველა ესენი მუხრანის საუფლისწულო მამულში შეუკრებია ბ-ნ გოგოლიანოვსკის, რომელსაც მშვენიერი ალბომი შეუდგენია ფოტოგრაფიულ სურათებისა მუხრანის მამულში მევენახეობის და მეღვინეობის წარმოებისა.

მოიხედავთ თუ არა ცოტა მარჯვნივ—კოხტა ვიტრინას შეჰხედავთ, შესავალის სწორედ შუა ადგილას,—ეკუთვნის სავაჭრო სახლსა „თავ. ზ. ა. ჯორჯაძე და კომპ.“ ტფილისში. ვინ არ იცის ეს დიდი ხნის ფირმა, რომელსაც თავის წარმოებით კარგი სახელი მოუხვეჭია, უფრო კი კავკასიის გარეშე ქვეყნებში და ბევრი საჩუქარიც მიუღია თუ ჩვენში, თუ რუსეთში და ევროპაში—კარგის წარმოებისათვის. ჩვენს გამოფენაზედ ეს ფირმა კონკურსს გარეშეა, ე. ი. ღვინოს საჯილდოოდ არ გაუშვებს.

მეორე მხარეს, შესავალის მარჯვენა კედელთან მოთავსებულია ჩვენი ცნობილი ფირმა „კახეთი“. პატარა, მაგრამ კოხტად მოწყობილი ვიტრინაა მაღლა დიდ ბოთლებზე დადგმული; შიგ რამოდენიმე ღირსების ღვინოა გამოწყობილი. ვიტრინას ქვეშ მიწით სავსე ყუთებში ჩარგული ვაზებია საფერავისა და რქა-წითელისა, რომელნიც ამერიკულ ვაზებზედაა დამყნილი კახეთის ზვარში. თუმცა ამ საზოგადოებას თავისს ღვინოები არსად გამოფენაზედ ჯერ არა ჰქონია, მაგრამ მაინც „კონკურსს გარეშე“ გამოუფენია დღეს ღვინოები.

აქედან პირ-და-პირ გაიარეთ და მარცხენა მხარის მარჯვენა კუთხეში, სამაწად-მოქმედო განყოფილების შესავალთან, საუფლისწულო მამულთა მმართველობის ლამაზ ლია-ვიტრინას დაინახავთ. მაგრამ ამაზედ და სხვებზედ შემდეგ წერილში მოგახსენებთ.

—მე.

**

ელექტრონის განათება გამოფენაზე ვერ არის რიგზე მოწყობილი, რის გამო რამდენჯერმე გამოფენაზე მოსული ხალხი ბნელში დარჩენილან. მაგ. 28 სექტემბერს უცბად ჩაქრა სინათლე და საზოგადოება იძულებული შეიქმნა სახლში წასულიყო. ამიტომ გამოფენის კომისარმა წინადადება მისცა ინჟენერ რავგოლერს, შეაკეთოს ელექტრონის განათების მოწყობილობა. გამოფენას საგრძნობელი ზარალი მოდის განათების ცუდის მოწყობის გამო.

**

ფქვილის საექსპერტო კომისია ა. ალიხბეგოვის თავმჯდომარეობით შეუდგება ექსპერტიზას ხვალიდან. ექსპერტიზაში მონაწილეობის მისაღებად სხვათა შორის მოწვეულია კანდიტერები გენე და იუზბაშევი და რამდენიმე ცნობილი ფქვილის ვაჭარი.

**

გამოფენის კომისარმა განკარგულება მოახდინა, რომ მუსიკამ დაუკრას გამოფენაზე დილის 11 საათიდან 4 მდე და საღამოს 6 საათიდან 9 მდე.

**

დღეისთვის დანიშნულია ფინკის ფირმის გუთნების დემონსტრაცია გერმანელ კოლონისტების ადგილებში. ეს დემონსტრაცია დანიშნულია სოფლების იმ წარმომადგენელთათვის, რომელნიც საიუბილეო დღესასწაულისათვის იყვნენ ჩამოსული, მაგრამ ისინი თითქმის ყველანი წასული არიან.

**

გამოფენის გახსნის დღიდან 29 სექტემბრამდე ნობელის პანორამა დაუთვალიერებია სულ 11,665 კაცსა; 28 სექტემბერს პანორამაში ყოფილა 449 კაცი. ფული შემოსულა სულ 1167 მ. ეს ფული, როგორც ვიცით, სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ იკრიბება.

**

გუშინ წინ გამოფენაზე ყოფილა 2742 კაცი, მათ შორის 151 უფასო ბილეთით.

**

28 სექტემბერს დამთავრდა გამოფენილ ცხენების ექსპერტიზა. დღეს დასრულდა ცხენების გამოფენა.

**

ხვალიდან დაიწყება ფრინველების გამოფენა. 7 ოქტომბრისათვის დანიშნულია ამ განყოფილების ექსპერტიზა.

სასამართლო

I

შაბათს, 29 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე შორაპნის მაზრის, საჩხერის ნაწილის სოფ. ჩიხას მცხოვრებ გლეხის ილარიონ ტალახაძისა, რომელსაც ბრალად ედებოდა შემდეგი დანაშაულობის ჩადენა; ამ რამდენიმე წლის წინად რაღაც დანაშაულობისათვის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებით ტალახაძე სამუდამოდ გადაუსახლებიათ ციმბირის შორეულს ადგილებში. ტალახაძის გრძნობა სამშობლო კერას მოგონება-სიყვარულს დაუძლევია და ერთს მშვენიერ დღეს უკრავს ხელი და ციმბირიდან გამოპარულა სახლში. საწყალი ილარიონ ტალახაძე თითქმის ერთს წელიწადს ემალებოდა პოლიციას საჩხერის ნაწილში. ზაფხულობით, სანამ მინდორ-ტყე გაფოთვლილ-შემოსილი იყო, იგი ისე ხერხიანად ასწრებდა მალვას, რომ ვერსად მიაგნეს. ამ რამდენიმე თვის წინად ტალახაძე თავის ოჯახში მისულა. ეს ამბავი შეიტყო პოლიციას, რომელიც შერჩეულ დროს მას თავს დაესხა და დაიჭირა.

ციმბირიდან გამოქცევისათვის, თანახმად სასჯელთა დებულების მე-313 მუხლისა, ილარიონ ტალახაძე ქუთაისის ოლქის სასამართლოს პასუხის გებაში იქმნა მიცემული. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ტალახაძე აღნიშნულს ბრალდებაში და გარდაუწყვიტა 40-ჯერ „როზგის“ დაკვრა და ოთხის წლით კატორღაში გაგზავნა. ტალახაძე ამ გარდაწყვეტილებაზე არ დათანხმებულა და ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია ტფილისის სამოსამართლო პალატაში, რომელმაც 29 სექტემბერს განიხილა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო ტალახაძე და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება.

II

27 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა არსენ სანებლიძისა, ნესტორ ასათიანისა და ნოე რუხაძისა, რომელთაც ბრალდებოდათ სასამართლოში ტყუილის ჩვენება და ცრუ ფიცის მიღება. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცნია სამივე ბრალდებული და გარდაუწყვიტა ყოველივე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, სანებლიძეს 5 წლით, ნ. ასათიანს 3 წლით, ხოლო რუხაძეს 4 წლის ვადით. ბრალდებულთ საქმე გადმოუტანიათ ტფილისის სამოსამართლო პალატაში, რომელმაც 27 სექტემბერს დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება.

პროვინცია

სოფ. საყულია (ქუთ. მაზრა). ამ ერთი წლის წინად გლეხებმა განაჩენი დაადგინეს ერთკლასიანი სკოლის ორკლასიანად გადაკეთებაზე და მამასახლისმა კიდეც წარადგინა დასამტკიცებლად სადაც ჯერ არს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამის თაობაზე არა ისმის რა.

მკვიდრნი ვაჭრობას, რკინის გზის საშუალებით, ძლიერ ეტანებიან; არც ერთს სოფლადაბ სხვა-და-სხვა ადგილებში იმდენა საქონელი არ გადის, რამდენიც საყულიიდან. რასაც კი მისწვდებიან, ყველაფერს აწარმოებენ და, თუ ხშირად ბევრი ვერ ახერხებს საქმის ფართოდ დაწყებას, ეს იმით აიხსნება, რომ დიდი ფულის პატრონები ცოტანი არიან და არც იაფის კრედიტის საშუალება აქვთ. 1893—96 წლებში ბოქაულის თანაშემწის, ბ. მახარაძის, თაოსნობით თითო გლეხი ორ-ორ აბაზს იხდიდა და მამასახლისებს ეს ფულები ხაზინაში შეჰქონდათ, რომ მით მერე სასოფლო ბანკი დაარსებულიყო, მაგრამ ჯერ ბანკისა არა ისმის რა, თუმცა მას შემდეგ 7—8 წელიწადია. ივლისიდან აზნ. აბულაძემ და მესხმა თავიანთ საკუთარ ადგილში გახსნეს კერძო ბაზრობა ხუთშაბათობით. სხვა-და-სხვა ჭირნახულიც მოაქვთ მკვიდრთ, მაგრამ ვაჭრობა ჯერ ნაკლებია. უსაჭიროესს საგანს, გარდა ბანკისა, მკვიდრთათვის შეადგენს წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

ს. ჯან—ლი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ შემდეგი შეცდომა გაასწოროთ. «ცნობის ფურცლის» 1549 ნომერში დაბეჭდილია სია იმ პირთა, რომელთაც ვასილ თუმანიშვილის ხელით გამოუგზავნეს ქართველ კიევის სტუდენტებს ფული საღამოს ვალის დასაფარავად. სიაში შეცდომით გამოტოვებულია ქნ. ნიჟარაძისა, რომელმაც შემოსწირა ერთი მანეთი; შეცდომითვე მოხსენებულია ბ. თევდორაძის შემოწირულება, რომელმაც შემოსწირა არა 50 კ., არამედ 5 მანეთი.

კიევის ქართველი სტუდენტების მინდობილობით

შ. ჩიტაძე

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

29 სექტემბერი

ბუდაპეშტი. ყველა 413 საარჩევნო ოლქში არჩევნები გათავდა. არჩეულნი არიან—263 ლიბერალი, 20 საერო დასის მომხრე, 75—კოშუტის მომხრე; 11—უგრონისა, 13—დამოუკიდებელი, 5—სხვა-და-სხვა ეროვნების წარმომადგენელი და 1—დემოკრატი. 25 დეპუტატი ხელახლად უნდა ამოარჩიონ.

პუატიე. სასამართლომ მაორსელ მნიეს მიუსაჯა 1 წლისა და 3 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება. საზოგადოება ტაშის კვრით მიეგება განაჩენს.

კონსტანტინეპოლი. ხონთქარმა ინახულა რუსეთის ელჩი ზინოვიევი.

ბომბეი. პეშავერში ბძანება მოვიდა, დაუყოვნებლივ ორი სალაშქრო საავადმყოფო მზად იყოს გასაგზავნადაო.

ბერლინი. გაზეთები ამბობენ, 5% სესხის მომგებიანი ბილეთები 1894 და 1896 წლებისა 28 სექტემბერს, თუმცა გამყიდველნი ცოტანი იყვნენ, მაინც 30—50% ნაკლებ ფასში უნდა გაეყიდულიყო, მაგრამ ბირჟამ გადასწყვიტა, ეს ბილეთები 28 სექტემბერს არ გაეშვას გასასყიდად, ხვალ კი ყოველ შემთხვევაში უნდა გაიყიდოს. ბილეთების ფასის დაცემის მიზეზად სთვლიან პეტერბურგის ბირჟის გავლენას.

კაპშტადტი. კაპის კოლონიის გუბერნატორმა პროკლამაცია გამოსცა და აცხადებს, სამხედრო წესები შემოღებულ იქმნებიან კიდევ შემდეგ ოლქებში: ელიოტ-ქსალანტასა, ტემბულენსა, მაკლეარისა, მოუნტისა, ფილჰერსა, მატალიელსა და აღმოსავლეთ გრიკუალენდში. მმართველობა კი მაინც სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელში იქმნება.

პეტერბურგის ბირჟა 28 სექტემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	45,97½
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96 ⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლი შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	432 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	323 მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	240½ გაყიდ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი	გამომცემელი
ალ. ჭყონია.	ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლის ელიზაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ბიზითახოვისა, ავადმყოფე უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კუკიის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ექუზოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ქუთაისში 13 სექტემბერს, დავკარგე ნოტარიუსის მიერ მოცემული საბუთის ქაღალდები. მპოვნელი მიიღებს საჩუქარს. ვსთხოვ გამოგზავნოს ოზურგეთში, იასე ორაგველიძეს. (5—171—4)

ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
გვრის მოედანზე, ყაფანთან.
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.
ტელეფონი № 754. (0—13)

ცინკოგრაფია
წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.
(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—31)

ისტორიული თხზულება (რუსულად)
ზ. ავალიშვილისა
საქართველოს შეერთება რუსეთთან
ფასი 1 მან. 50 კაპ.
გამოცემის საწყობი „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაშია. ისყიდება იქვე და ლ. ხიდდეკელთან. წიგნი შეიძლება დაიბარონ ფასის ზედ-დადებით.

ახალი წიგნი
სამეგრელოს აღწერა
არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი
ალექსანდრე ჭყონიასი
(სამეგრელოს რუკით)
ფასი 1 მანეთი
დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში
ისყიდება თარგმანები
ივ. მაჭავარიანისა:

გლეხი-კაცის ისტორია (ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა) 4 ნაწილად. . . . ფასი	2 40
ბრმუალები, დრამა 3 მოქ. „	— 30
იმდითი, დრამა 5 მოქმედ. „	— 30
ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა, კომედია 5 მოქმედ. „	— 50

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
საკერავს:
კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Сентября 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.